

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გამართა

30 აპრილს, სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დაფუძნებულმა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა გამართა მის მიერ გამოცემული “ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელოს” პრეზენტაცია.

წიგნის ავტორები უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნათია წევჭლაძე და ივანე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ბატონი პაატა ტურავა გახლავთ.

სახელმძღვანელოში განხილულია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი ინსტიტუტები. თეორიული საკითხების გააზრების გაადვილების მიზნით, წიგნში მოყვანილია საკონტროლო კითხვები და სავარჯიშოები. სახელმძღვანელოში ასევე მრავლადაა ვაზუსები საქართველოს სასამართლოს პრაქტიკიდან.

სახელმძღვანელოს მიზანია, ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ პირებს მისცეს თეორიული ცოდნა, დაეხმაროს სამართლის ნორმების სწორ გამოყენებასა და განმარტების უნარის გამომუშავებაში, ჩამოუყალიბოს შემოქმედებითი მიდგომა და განუვითაროს კრიტიკული აზროვნება. თეორიული ცოდნა უნდა დაემყაროს როგორც ადმინისტრაციულ წარმოებაში, ასევე სამართალწარმოებაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, რათა მიღებული ცოდნა არსებულ პრაქტიკის ადეკვატური იყოს. ამასთანავე, მან უნდა შესძლოს წინმხვედრი პრობლემებისა და ხარვეზების გაანალიზება და რაც მთავარია, ჩამოუყალიბოს სწორი ხედვა.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო პირველი წიგნია, რომელიც ფონდმა გამოსცა და რომლის უპირველესი მიზანი კვალიფიციური კადრის აღზრდაა, რომელსაც მიღებული ცოდნა წაადგება პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორც მომავალ საჯარო მებელეს, მოსამართლესა თუ ადვოკატს.

წიგნის ექსკუზიურად გაიყიდება მხოლოდ მაღაზია "ბიბლიუსის" ქსელში შემდეგ მისამართებზე:

თბილისი:

აღმაშენებლის #121

იოსებძის # 49

რუსთაველის #40/1

რუსთავი: მეგობრობის #12

ბათუმი:

მემედ აბაშიძის #62

ფარნავაზ მეფის #18

ბუგდიდი: რუსთაველის # 92

სენაკი: რუსთაველს #241

ფოთი: ფარნავაზ მეფის # 12

სამტრედია: სააკაძის #6

ხაშური: რუსთაველის # 69

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დუშეთი: რუსთაველის #11
ქუთაისი: ლ. ნუცუბიძის #1
ოზურგეთი: 9 აპრილის პარკი